სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№01-04/16 26.02.2021 ბ.

„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის განყოფილებაში არსებული დოკუმენტების აღრიცხვა - გადაბარების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 15 თებერვლის №01-04/10 ბრძანებით შექმნილი საუნივერსიტეტო კომისიის მიერ შედგენილი აღრიცხვისა და გადაბარების აქტით გადაცემული დოკუმენტების თაობაზე

„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის განყოფილებაში არსებული დოკუმენტების აღრიცხვა - გადაბარების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 15 თებერვლის №01-04/10 ბრძანებით შექმნილი საუნივერსიტეტო კომისიის მიერ 2021 წლის 19 თებერვალს შედგენილი იქნა აღრიცხვისა და გადაბარების აქტი (შემდგომში ბრძანების ტექსტში მოხსენებული, როგორც „აღრიცხვისა და გადაბარების აქტი“). გადაცემულ დოკუმენტებთან დაკავშირებით, **ვბრძანებ:**

1. უნივერსიტეტის არქივს დაევალოს მასზე აღრიცხვისა და გადაბარების აქტით გადაცემული 112 პირადი საქმის დადგენილი წესით შენახვა და დაცვა.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს სამსახურისთვის აღრიცხვისა და გადაბარების აქტით გადაცემული აქტიური და სტატუსშეჩერებული დოქტორანტების პირადი საქმეები, კერძოდ მედიცინის ფაკულტეტის ერთი სტუდენტის პირადი საქმე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთი სტუდენტის პირადი საქმე, ტექნოლოგიური ფაკულტეტის 33 სტუდენტის პირადი საქმეები, ტექნიკური ფაკულტეტის 55 სტუდენტის პირადი საქმეები, აგრარული ფაკულტეტის 31 სტუდენტის პირადი საქმეები, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 92 სტუდენტის პირადი საქმეები, პედაგოგიური ფაკულტეტის 10 სტუდენტის პირადი საქმეები და ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 12 სტუდენტის პირადი საქმეები დადგენილი წესით გადასცეს შესაბამის ფაკულტეტებს.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოქტორანტურის განყოფილებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.
4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
5. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტირებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი **როლანდი კოპალიანი**

სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დოქტორანტურის განყოფილების ხელმძღვანელის პროფესორ თეიმურაზ სურგულაძის გარდაცვალების გამო „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის განყოფილებაში არსებული დოკუმენტების აღრიცხვა - გადაბარების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 15 თებერვლის №01-04/10 ბრძანებით შექმნილი საუნივერსიტეტო კომისიის მიერ შედგენილი

აღრიცხვისა და გადაბარების

აქტი

ქ. ქუთაისი, 19 თებერვალი 2021 წ.

„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის განყოფილებაში არსებული დოკუმენტების აღრიცხვა - გადაბარების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 15 თებერვლის №01-04/10 ბრძანებით შექმნილმა საუნივერსიტეტო კომისიამ შემდეგი შემადგენლობით: შალვა კირთაძე - კომისიის თავმჯდომარე, თეა კორძაძე, ნესტანი კუტივაძე, მამუკა აშვეთია, ოთარი შენგელია, თამრიკო გეგეჭკორი, სალომე გოგიაშვილი, თამთა შავიანიძე შევადგინეთ წინამდებარე აქტი შემდეგზე:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოქტორანტურის განყოფილებაში არსებული დოკუმენტაციისა და განყოფილების აწ გარდაცვლილი უფროსის, თეიმურაზ სურგულაძის პირადი ნივთების აღწერა და გადაბარება განხორციელდა 15 თებერვალს, რის შედეგადაც:

სადოქტორო დისერტაციების დაცვის დოკუმენტაცია 112 სტუდენტის პირადი საქმე გადაეცა უნივერსიტეტის არქივს

პირადი ნივთები (წიგნები (50 ცალი), სტატიები (30 ცალი), პირადი ხასიათის სხვა წვრილმანი ნივთები) მის შვილებს

აქტიური და სტატუსშეჩერებული დოქტორანტების პირადი საქმეები, კერძოდ მედიცინის ფაკულტეტის 5 სტუდენტის პირადი საქმე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთი სტუდენტის პირადი საქმე, საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის 33

სტუდენტის პირადი საქმეები, საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის 54 სტუდენტის პირადი საქმეები, აგრარული ფაკულტეტის 26 სტუდენტის პირადი საქმეები, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 92 სტუდენტის პირადი საქმე, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 12 პირადი საქმე და პედაგოგიური ფაკულტეტის 10 სტუდენტის პირადი საქმეები ჩაბარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

კომისიის წევრები

- შალვა კირთაძე ასოცირებული პროფესორი - რექტორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე)
- თეა კორძაძე ასოცირებული პროფესორი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- ნესტან კუტივაძე პროფესორი - აწსუ-ს სამეცნიერო ჟურნალის „მოამბე“ რედაქტორი
- მამუკა აშვეთია - იურიდიული სამსახურის სპეციალისტი
- ოთარ შენგელია - ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- თამრიკო გეგეჭკორი - დოქტორანტურის განყოფილების სპეციალისტი
- სალომე გოგიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
- თამთა შავიანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

თეიმურაზ სურგულაძის შვილების ხელმოწერები:

უნივერსიტეტის არქივის ხელმძღვანელის ხელმოწერა: